სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 24 მაისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- ***ანა ტოდოროვა ბულგარეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №23302/03)***

აპლიკანტი ანა ტოდოროვა არის ბულგარეთის და ბელგიის მოქალაქე, დაიბადა 1949 წელს და ცხოვრობს ბელგიაში. საქმე ეხება აპლიკანტის 22 წლის ვაჟის, ჟივკო ტოდოროვის გარდაცვალებას, რომელიც 1994 წელს მოხდა როცა იგი თავისი ავტომანქანით შეეჯახა სატვირთო მანქანას. კონვენციის მე-2 მუხლსა და მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩივის, რომ მისი შვილის გარდაცვალების საქმე არაჯეროვნად იქნა გამოძიებული და საქმის განხილვა მიმდინარეობდა გაჭიანურებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი (არასაკმარისი გამოძიების გამო) და სახელმწიფოს დაეკისრა 8000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- ***ონორატო იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №26218/06)***

აპლიკანტი პიერლუიჯი ონორატო იტალიის მოქალაქეა, დაიბადა 1938 წელს და ცხოვრობს ფიეზოლეში (იტალია). ის არის მოსამართლე. ის ამტკიცებს, რომ პარლამენტის წევრმა მის შესახებ გაავრცელა ცილისმწამებლური ინფორმაცია პრესაში. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მას არ შეეძლო პარლამენტის წევრის წინააღმდეგ სასამართლოში აღეძრა საქმე ამ უკანასკნელის საპარლამნეტო იმუნიტეტის გამო, რომელიც კონსტიტუციითაა გარანტირებული.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და სახელმწიფოს დაეკისრა 8000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად, ხოლო 8000 ევრო – ხარჯების დასაფარად.

- **აბუ ამერი რუმინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №14521/03)**

აპლიკანტები არიან ფარედ იუსუფ აბდალა აბუ ამერი, მოქალაქეობის არმქონე პალესტინური წარმოშობის, რომელიც დაიბადა 1969 წელს და მისი მეუღლე ანა-მარია აბუ ამერი, რუმინეთის მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1979 წელს. მათ ჰყავთ გოგონა, რომელი დაიბადა 2001 წელს, ხოლო ერთი წლის შემდეგ მათ იქორწინეს. ისინი ამჟამად ცხოვრობენ შვედეთში. 1998 წელს ბატონ აბუ ამერს რუმინეთში მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი, ისევე როგორც მის მამასა და ძმებს. 2003 წლის მარტში ის დააპატიმრე და მოათავსეს საპატიმროში გაძევებამდე იმ საფუძვლით, რომ იგი წარმოადგენდა ეროვნული უსაფრთხოებისათვის საშიშროებას. დეპორტაციის ბრაძნებაში მითითებული იყო, რომ მას 10 წლის მანძილძე

არ შეეძლო რუმინეთში შესვლა. კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და კონვენციის მე-5 მუხლის I და IV ნაწილებზე (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დაყრდნობით აპლიკანტი აბუ ამერი ჩივის მისი უკანონო დაპატიმრების გამო, ასევე პატიმრობის პირობებზე. ამას გარდა, კონვენცის მე-8 მუხლზე დაყრდნობით (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) აპლიკანტები ჩივიან, რომ იმისათვის რომ მათი ოჯახი ერთად ყოფილიყო, ისინი იძულებულები გახდნენ წასულიყვნენ რუმინეთიდან და დაეტოვებინათ თავიანთი ოჯახის სხვა წევრები.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტების მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და სახელმწიფოს დაეკისრა 8000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- ***იონესკუ რუმინეთის წინააღ,დეგ – (განაცხადი №24916/05)***

აპლიკანტი ფლორინ იონესკუ გერმანიის მოქალაქეა, დაიბადა 1947 წელს და ცხოვრობს მოოსთენინგში (გერმანია). საქმე ეხება მისი პარტნიორის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის უსამართლო და გაჭიანურებულ განხილვას თაღლითობისა და გაყალბების ბრალდების გამო კომერციულ კომპანიაში, რომელიც დაარსდა 1993 წელს. განმცხადებელი მიუთითებს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში).

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანი განხილვის ნაწილში, ხოლო დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის საქმის გაჭიანურებით განხილვის ნაწილში. სახელმწიფოს დაეკისრა 2400 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად, ხოლო 750 ევროს გადახდა დანახარჯების დასაფარად.

- ***ჩელალ კაპლანი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №16227/06)***

აპლიკანტი ჩელალ კაპლანი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1965 წელს და ცხოვრობს თურქეთში. 2005 წელს ის წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და დააპატიმრეს კრიმინალური ბანდის მეთაურობის ბრალდებით. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ პოლიციის იზოლატორში მის მიმართ განხორციელდა არაადამიანური და დამაცირებელი მოპყრობა და მის ჩივილზე არ ჩატარებულა ეფექტური გამოძიება.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი არასაკმარისი გამოძიების ჩატარების გამო და სახელმწიფოს დაეკისრა 6000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- ***საბრი გიუნეში თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №27396/06)***

აპლიკანტი საბრი გიუნეში თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1981 წელს და ცხოვრობს იზმირში (თურქეთი). სამხედრო სამსახურში ყოფნისას იგი დაინვალიდდა, რაზედაც მიეცა კომპენსაცია მატერიალური და მორალური ზარალის სანაცვლოდ. ამის შემდეგ მან სასამართლოს მიმართა და მოითხოვა ინვალიდობის მუდმივი პენსია. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილსა და მე-13 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ სასამართლომ უარი უთხრა სარჩელის განხილვაზე ხანდაზმულობის გამო და მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი თურქეთის კანონმდებლობის თანახმად მის საჩივრებთან დაკავშირებით.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეკისრა 10000 ევროს გადახდა.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- ***ჩაღლარი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №11192/05)***

2010 წლის 13 აპრილის განჩინებით სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი, რადგან აპლიკანტს შეეძღუდა თავისი საკუთრებით სარგებლობის უფლება იმის გამო, რომ საკუთრება მდებარეობდა ტყის არეში და მას არ მიეცა შესაბამისი კომპენსაცია ამის გამო. დღევანდელი განჩინებით სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 910.000 ევრო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 1000 ევრო ხარჯების დასაფარად.

- ***ლოიზოუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №16682/90)***

2009 წლის 22 სექტემბრის განჩინებაში სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი თურქეთის ოკუპაციისას ჩრდილოეთ კვიპროსში აპლიკანტისათვის საკუთარი სახლისა და ქონების ჩამორთმევის გამო. დღევანდელ განჩინებაში სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა ერთ-ერთი აპლიკანტისათვის (კოსტას კალისპერასი) 1.300.000 ევროს გადახდა მატერიალური და არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 1500 ევროს გადახდა ერთობლივად ყველა აპლიკანტისათვის დანახარჯების ასანაზღაურებლად.